<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №20, 04.05.2005, მუხ. 143) 26-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ფ[2]“ ქვეპუნქტი:

,,ფ[2]) სათანადო შემთხვევაში ქმნის ექსპერტთა კომისიას, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული ან საერთაშორისო კატეგორიის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე მეთოდის საფუძველზე შექმნილი სახელმძღვანელოს მომზადებასა და გრიფირებაზე წარდგენას. ამ სახელმძღვანელოს გრიფირება ხდება სპეციალური წესით“.

მუხლი 2.

1. ამ კანონის ამოქმედებიდან ორი თვის ვადაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ უზრუნველყოს:

ა) შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა;

ბ) ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული ექსპერტთა კომისიის შექმნა.

2. 2019-2020 სასწავლო წლის დაწყებამდე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ უზრუნველყოს ექსპერტთა კომისიის მიერ ეროვნული ან საერთაშორისო კატეგორიის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე მეთოდის საფუძველზე შექმნილი სახელმძღვანელოს გრიფირებაზე გადაწყვეტილების მიღება.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი